

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სწავლების სტილები და სტრატეგიები ინგლისურ ენაზე კითხვის სწავლებისას
უნივერსიტეტებში (ერაყში)

მეჰმედ ნუმან ქანარ

ავტორეფერატი

წარდგენილია

განათლების მეცნიერებების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2013

ხელმძღვანელი პროფესორი, დოქტორი ნათელა დოდონაძე

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი მაია ჩქოტუა

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნიკოლოზ ფარჯანაძე

ოპონენტები:

პროფესორი, დოქტორი რუსუდან გოცირიძე

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი თამარ ჯოჯუა

კვლევის აქტუალობა

ინგლისური ენის საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებზე მოთხოვნა მთელს მსოფლიოში იზრდება მისი ამჟამინდელი „ლინგვა ფრანკას“ სტატუსის გამო. გრადოლი (Graddol, 2006) მიუთითებს, რომ ინტერნეტი წარმოადგენს ალტერნატიურ საკომუნიკაციო საშუალებას, რომელიც აკავშირებს მულტილინგვურ და დიასპორულ საზოგადოებებს, და ეს მოიცავს არა მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებს, არამედ ჩინურ, ესპანურ, ჰინდი და არაბულ ენებზე მოსაუბრე საზოგადოებას. მეორეს მხრივ, მართალია, არსებობს ქვეყნები, სადაც უფრო მეტი მოთხოვნაა ზეპირ საკომუნიკაციო (მოსმენის და საუბრის) უნარ-ჩვევებზე, სხვა ქვეყნებში, როგორცაა, მაგალიტად, ერაყი, ძირითადი ფოკუსი კვლავ გაკეთებულია კითხვის უნარ-ჩვევებზე, როგორც ინფორმაციის, განსაკუთრებით, პროფესიული ინფორმაციის წყაროზე. ამ ქვეყნებში ინგლისურის (კითხვის უნარ-ჩვევების ჩათვლით) სწავლისადმი ინტერესი გაიზარდა ინტერნეტის როლისა და შესაძლებლობების გამო. ტილფარლიოგლუს (Tilfarlioglu 2011) კვლევა, რომელიც ეხება 534 სტუდენტს 6 უნივერსიტეტიდან და სკოლის უფროსკლასელებს თურქეთსა და ერაყში (მათ შორის, ერბილ იშკის უნივერსიტეტიდან, სადაც მე თვითონ ვმუშაობ და კვლევა ჩავატარე და სადაც სტუდენტების მშობლიური ენა კურთული და არაბულია) ადასტურებს ინგლისური ენის სწავლისადმი ინტერესის გაზრდას 2004 წლის შემდეგ ინტერნეტის განვითარების გამო.

ყველა ქვეყნის უნივერსიტეტში აქცენტი კეთდება მშობლიურ ენაზე კითხვის უნარ-ჩვევებზე, რაც დაკავშირებულია სტუდენტების მიერ დიდი ოდენობით წასაკითხი დავალებების შესრულებით. იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობას, განათლებულ ნაწილსაც კი, ნაკლებად სჭირდებათ ინგლისური ზეპირი კომუნიკაციისთვის, კეთდება აქცენტი კითხვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე. ინგლისური აკადემიური მიზნებისთვის (EAP) და ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის (ESP) მეტად საჭიროა ასეთი ქვეყნების ტექნიკური და ინდუსტრიული განვითარებისთვის. ინგლისური ენის ამ მიზნებით შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის, სადაც ყველა ან უმეტესი

ლექცია ინგლისურ ენაზე ტარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტებს (თითქმის) ისევე კარგად უნდა შეეძლოთ იკითხოთ ინგლისურ ენაზე, როგორც მშობლიურზე. აჰმედი (Ahmed, 2007) გვაცნობს, რომ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებსაც კი, რომელთა მშობლიური ენა არ არის ინგლისური, მაშინაც, როცა ინგლისური ენა მათი სპეციალობაა და მითუმეტეს მაშინ, როცა მათი სპეციალობა სხვა არის, ინგლისურ ენაზე წაკითხულის გააზრების პრობლემა სერიოზულად უფერხებს საგანმანათლებლო პროცესს (მართალია, თუმცა იმ სტუდენტებს, რომელთა სპეციალობაც არ არის ინგლისური ენაა, მეტ პრობლემებს აწყდებიან).

როგორც ინტელექტუალურად მოთხოვნადი აქტივობა (წერილობითი ტექსტის გაგება, განსაკუთრებით, სამეცნიერო ან აკადემიური ტექსტის, პიროვნებისგან მოითხოვს გარკვეულ ცოდნას და მაღალი დონის შემეცნებით უნარებს) კითხვა დამოკიდებულია და ამავდროულად ხელს უწყობს პიროვნების ინტელექტუალურ განვითარებას.

შაივიცი (Shaywitz, 2003) ამტკიცებს, რომ წაკითხულის გააზრება ცხოვრების მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევაა. ის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია განათლებაში, ის წარმატების საუკეთესო პროგნოზს აკეთებს უმაღლესი განათლების სფეროში ისევე, როგორც სამუშაოს შესრულებაში. ის სიცოცხლის ბოლომდე სწავლისთვის აუცილებელი პირობაა (Elley, 1994).

მიუხედავად იმისა, რომ კითხვის სწავლება/სწავლა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მარტივია (წასაკითხი ტექსტი მკითხველის წინ დევს იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა, მკითხველს აქვს საშუალება, გამოიყენოს ლექსიკონი, მიხვედრის სტარტეგები თუ კვალიფიციური მკითხველის დახმარება), სტუდენტებს კითხვისას მაინც ექმნებათ სირთულეები ლინგვისტური სირთულეების (ინგლისური აკადემიური და სპეციალური მიზნებისთვის მოითხოვს მდიდარ სიტყვათა მარაგს, ტერმინოლოგიის ცოდნას, წინადადებები არის გრძელი და რთული), რთული შინაარსის და ზოგადი გამოცდილების ნაკლებობის გამო.

ბურჩფილდი და საპინგტონი (Burchfield and Sappington 2000) გვაცნობენ, რომ საშუალოდ სტუდენტების მხოლოდ ერთი მესამედი ასრულებს ხოლმე თავიანთ

კითხვით დავალებებს. ეს დასკვნები ამყარებს იმ კვლევებს, რომელიც ბოლო 30 წლის გამავლობაში შესრულებულა (McDougall and Cordiero, 1993; Self 1987; Marshall, 1974). ჰობსონმა (Hobson, 2004, გვ. 1) აღმოაჩინა, რომ 70%-ზე მეტი სტუდენტი არ კითხულობს დავალებულ საკითხავ მასალას. კვლევა, რომელიც ჩატარებულია ბროსტისა და ბრედლის მიერ (Brost and Bradley , 2006), ასახელებს მიზეზებს, რომლებიც იწვევენ აღნიშნულ პრობლემას: სკოლიდან მოტანილი კითხვის უნარების დაბალი ხარისხით უნივერსიტეტის სტუდენტებს აღარ უჩნდებათ სურვილი, რომ იკითხონ, მათი სწავლის სურვილი დაბალია, ისინი კითხვის უნარ-ჩვევების როლს ვერ აცნობიერებენ, ამას ემატება იმ მასწავლებლის ქცევა, რომლებიც იძლევიან კითხვით დავალებებს, მაგრამ შემდგომში მოითხოვს ამ მასალის ცოდნას მეცადინეობაზე და გამოცდებზე. ჰარმას და სიატრიანას (Hamra and Syatriana, 2012, გვ.1) მიხედვით, პირველკურსელი სტუდენტების ბოლო სემესტრის კითხვის ტესტის შედეგებიცა და პირველი სემესტრის TOEFL-ის შედეგებიც დაბალია. ინდონეზიელი სტუდენტების წაკითხულის გააზრების უნარებს გაუმჯობესება სჭირდება (Kweldju, 2001, Syatriana, 1998; Mardiana, 1993; Hamra, 1993, 1996a, 1996b; Hamra and Syatriana, 2010), უნარ-ჩვევების არსებული დონე დიდად განსხვავდება საჭირო დონისაგან, ეს კი მათ არ აძლევთ უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ქვეყნების გაცვლით პროგრამებში. კითხვის დროს წარმოშობილი პრობლემები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით: ტექსტის ზედაპირული ინტერპრეტაციით, სიტყვათა მწირი მარაგით, კითხვის არაეფექტური სტრატეგიების გამოყენებით, მწირი გრამატიკური კომპეტენციით (Behroozizad and Bakhtiyarzadeh, 2012). ჰარმა და სიატრიანა (Hamra and Syatriana, 2012) ასკვნიან, რომ სტუდენტთა მიერ წაკითხულის გააზრების გაუმჯობესებაზე უნდა იყოს ფოკუსირებული სწავლებისა და სწავლის პროცესი.

ჰარმას და სიატრიანას (Hamra and Syatriana, 2012) უამრავი კვლევა აქვთ ჩატარებული ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის კითხვის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით (ათობით რეკომენდაციაა გაკეთებული წინამდებარე დისერტაციაში), მიუხედავად ამისა, სიტუაცია, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი.

ამას გარდა, ისეთი ასპექტი, როგორცაა წასაკითხი მასალის შერჩევა ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, ნაკლებადაა შესწავლილი. მასწავლებელზე ორიენტირებული პრაქტიკა (სტუდენტებს ძალიან იშვიათად ან საერთოდ არ ეკითხებიან, რა საკითხი აინტერესებთ ან რისი წაკითხვა უნდათ) ხელს არ უწყობს არსებული სიტუაციის გაუმჯობესებას. ყველაფერი ეს ჩემს მიერ წარმოებული კვლევას მნიშვნელოვანს და აქტუალურს ხდის.

პრობლემა

ფაქტი, რომ სტუდენტთა საუბრის უნარ-ჩვევები არაადექვატურია აკადემიური მიზნებისათვის, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ზოგიერთი სტუდენტი თითქმის არ ასრულებს წასაკითხ დავალებებს, სხვები კითხულობენ, მაგრამ როდესაც საქმე მიდგება წაკითხულის გააზრებაზე, ისინი მარცხს განიცდიან. და ბოლოს ბევრი სტუდენტი გამოცდებს ვერ აბარებს, მარცხს განიცდის, და ეს მათ მოტივაციას დაბლა სწევს. პრობლემური შეკითხვები, რომელიც დისერტაციაში გავაჟღერე, შემდეგია:

- ✓ როგორ უნდა გახდეს კითხვის უნარ-ჩვევები აკადემიური კითხვის უნარ-ჩვევების ადექვატური?
- ✓ რა აუმაღლებს სტუდენტებს კითხვის დონეს და მოტივაციას?
- ✓ სწავლების რა მიდგომები/სტრატეგიები უნდა გამოვიყენოთ, რომ გაიზარდოს კითხვის სწავლების ეფექტურობა, და შესაბამისად გაუმჯობესდეს კითხვის უნარ-ჩვევების ხარისხი?

კვლევის მიზანი

ჩემი კვლევის მიზანი წინამდებარე დისერტაციაში იყო მომეძიებინა ეფექტური გზები ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის კითხვის სწავლების დროს, რომელთა ეფექტურობაც დადასტურდებოდა ჩემი ექსპერიმენტის მსვლელობისას. მე განვიზრახე, გამეხადა კითხვის სწავლება უფრო მეტად სტუდენტზე ორიენტირებული და მისი დახმარებით ეს პროცესი გამხდარიყო უფრო მეტად ეფექტური და მოტივირებული.

სიახლე

ზოგადად სწავლება და განსაკუთრებით ენის სწავლება ერაყში უმეტესწილად მასწავლებელზეა ორიენტირებული, ასე, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის შემოტანა ენის სწავლებაში (ისევე როგორც ამ პრობლემის კვლევა) ინოვაციურია.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლების/სწავლის სტრატეგიები და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა თანამედროვე მიმდინარეობებია, მაგრამ თავისთავად დიდ სიახლეს არ წარმოადგენენ, კითხვის სწავლების პრაქტიკა აკადემიური და სპეციალური მიზნებისთვის (ESP) არის საკმაოდ მოძველებული და არაეფექტური.

ტრადიციულად კითხვის მოტივაცია განიხილება როგორც კითხვის პროცესის განუყოფელი ნაწილი. მე შეთავაზებული მაქვს, განვიხილოთ როგორც კითხვის მოტივაციის ნაწილი უფრო ადრეული საფეხურიდან - ტექსტის შერჩევის მომენტიდან. გარდა ამისა, კვლევაში განვიხილულია კითხვის სწავლების აქტივობები როგორც უნარებთან, ისე სტრატეგიის განვითარებასთან კავშირში, ტრადიციული ხედვა კი მხოლოდ კითხვის უნარ-ჩვევებთან კავშირში განიხილება.

ჰიპოთეზა

კვლევის ჰიპოთეზა შემდეგია: ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ინგლისურ ენაზე კითხვის სწავლება უფრო ეფექტური და მოტივირებული იქნება თუ სტუდენტებს მივცემთ საშუალებას ტექსტი, საკითხი, აქტივობები და შეფასების ფორმატი თვითონ შეარჩიონ.

არჩევანის გაკეთების დროს გასათვალისწინებელია მასწავლებლის და სტუდენტების სწავლების/ სწავლის სტილი, სტრატეგიები, სტუდენტთა სქესი და ინტერესი.

კვლევის მეთოდები

ზემოთ განხილული პრობლემების გადასაჭრელად მე მივმართე კვლევის შემდეგ მეთოდებს:

- ✓ შესასწავლი საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის განხილვა და კრიტიკული ანალიზი

- ✓ საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება
- ✓ სტუდენტთა გამოკითხვა
- ✓ ექსპერიმენტი
- ✓ სტუდენტთა კითხვის უნარ-ჩვევების ტესტირება, შეფასება
- ✓ ექსპერიმენტისა და კითხვარების შევსების შედეგად მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი

კვლევის თეორიული ღირებულება

დისერტაცია გვთავაზობს სწავლების/სწავლის სტილის/ სტრატეგიების ანალიზს, სტუდენტთა მოთხოვნილებების ანალიზს ინგლისურის აკადემიური და სპეციალური მიზნებისთვის კითხვასთან დაკავშირებით.

კვლევის თეორიული ბაზა შემდეგია:

- ✓ სწავლებისა და სწავლის სტილის/სტრატეგიების თეორიები (Witkin and Goodenough, 1981; Kolb, 1984; Biggs, 1999; Fleming, 2001; Grasha, 2002)
- ✓ სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა (Baxter and Gray, 2001; Weiner, 2002; Brown, 2008) და პროდუქტიული პედაგოგიკა (Van Driel, Verloop, and De Vos, 1998; Gore, Griffiths, and Ladwig, 2004)
- ✓ მოტივაციის ატრიბუციის თეორია (Deci and Ryan, 1985; Weiner, 1992)

მე ვეცადე გამომეყენებინა ყველა ეს თეორიები, რათა გამეუმჯობესებინა კითხვის უნარ-ჩვევების სწავლება. მე ვეცადე ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა ამ საკითხის განხორციელებაში კითხვის უნარ-ჩვევების ფორმირების კუთხით. მოდელი, რომელიც შევიმუშავე, არის მცდელობა გამეერთიანებინა ეს თეორიები კითხვის სწავლების კუთხით.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

დღეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება აბსოლუტურად სავალდებულო გახდა. ეს კვლევა გვთავაზობს, თუ როგორ გამოვიყენოთ სტუდენტზე ორიენტირებული

განათლება ბაკალავრიატის სტუდენტების კითხვის სწავლებისთვის. შეთავაზებული მოდელი განხილულია მე-2 თავში, კითხვის სწავლების მოდელები და კითხვის უნარ-ჩვევების განმავითარებელი აქტივობებისადმი მიდგომა, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფს კითხვის პრაქტიკას, არამედ ავითარებს წაკითხულის გაგების სტრატეგიებს, იმედია, დაეხმარება ენის მასწავლებლებს, გახადონ კითხვის სწავლება უფრო ეფექტური და მოტივირებული.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნების და დანართისგან. პირველ თავში მე მიმოვიხილე ლიტერატურა სწავლებისა და სწავლის სტილებისა და სტრატეგიების შესახებ. მეორე თავში მე გავაანალიზე კითხვის უნარ-ჩვევების ფორმირების მეთოდები, კითხვის უნარ-ჩვევების ფსიქოლოგიური და ლინგვისტური თვისებები, ტექსტების ჟანრები, კითხვის მოტივაცია, კითხვის უნარ-ჩვევების განმავითარებელი აქტივობები და ამ უნარ-ჩვევების შესაფასებლად გამოყენებული დავალებები. მესამე თავი აღწერს კვლევას, რომელიც ჩატარდა ორ - საკონტროლო და ექსპერიმენტულ - ჯგუფში, კითხვის სწავლებისადმი ორი მიდგომის - მასწავლებელზე ორიენტირებული (საკონტროლო ჯგუფი) და სტუდენტზე ორიენტირებულის (ექსპერიმენტული ჯგუფი) - ეფექტურობის შესადარებლად. დისერტაციაში წარმოდგენილია 26 ცხრილი, 6 გრაფიკი და დანართი.

მოკლე შინაარსი

თავი 1. სწავლებისა და სწავლის სტილი და სტრატეგიები ინგლისურ ენაზე კითხვის სწავლებისას - ლიტერატურის მიმოხილვა


პირველ თავში სწავლების, სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა სტილი, მიდგომა და სტრატეგიაა გაანალიზებული. მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომა აღწერილია როგორც „ლექციის წაკითხვა“, რომელსაც მოჰყვება სტუდენტთა აქტივობის დაბალი მაჩვენებელი, სტუდენტთა პასიურობის მაღალი მაჩვენებელი და მასწავლებლის ძალაუფლების წინა პლანზე წამოწევა. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებაც მასწავლებლის მიერაა დაგეგმილი, მაგრამ ის სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობის,

არჩევანის გაკეთების, იმ აქტივობებზე კონტროლის საშუალებას იძლევა, რომლებსაც სტუდენტები ასრულებენ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანს დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვთ, კითხვის უნარ-ჩვევების ფორმაციისადმი მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა თანამედროვე მეთოდიკისთვის რელევანტურია. კვლევამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ ერთი სწავლება/სწავლის სტილის გამოყენება ვერ მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე, ეფექტურია სხვადასხვა სწავლის/სწავლების სტილის გამოყენება. პირველ სქემაში შევეცადე მეჩვენებინა მასწავლებლის ხედვისა და სწავლის სტილის გავლენა, ერთის მხრივ, თვით მასწავლებლის ქცევაზე და, მეორეს მხრივ, სტუდენტთა კმაყოფილებასა და ჩართვაზე სასწავლო პროცესში.

რადგან ხშირად დამაბნეველია, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მასწავლებლებმა სწავლების სტილის სხვადასხვა ტიპოლოგია, პირველ ცხრილში მე ვეცადე გამეერთიანებინა დაახლოებით ერთმანეთის მსგავსი ტერმინები სწავლის სტილებთან დაკავსირებით და მეჩვენებინა მათი გავლენა კითხვის სწავლების პროცესზე.

მეორე ცხრილში ნაჩვენებია მასწავლებლისა და ენის შემსწავლელის ქცევათა ურთიერთობა კითხვის სწავლების/სწავლის პროცესში (როგორც ჩემი დისერტაციის ძირითადი საკითხი). მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების დროს შედეგები არ არის სტუდენტთა კონტროლის ქვეშ, შესაბამისად, სტუდენტები ატივობებში მონაწილეობას თავს არიდებენ, მოტივაცია დაბალი აქვთ, კონცენტრაციას ახდენენ ფაქტობრივ ინფორმაციაზე და მის მექანიკურ დამახსოვრებაზე. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის დროს სტუდენტები მეტად მონაწილეობენ სავარჯიშოების შერჩევაში, რაც ზრდის მათ მოტივაციას, კმაყოფილების გრძნობას, ჩართულობას და აძლევს მათ ფიქრის სტიმულს.

სქემა 1. მასწავლებლის მოსაზრებასა და სტუდენტის სწავლის სტილს შორის ურთიერთობა



ცხრილი 1. ენის სწავლის სტილის / შემსწავლელის ტიპის ა და მასწავლებლის ქცევის შესაბამისობა

კლასიფიკაციის კრიტერიუმები	შემსწავლელის ტიპი	მასწავლებლის ქცევა
კომუნიკაციისთვის მზაობა	ექსტრავერტი	წყვილებსა და ჯგუფებში დისკუსიები
	ინტროვერტი	ჩუმი კითხვა, წერილობითი დავალებები
გრძნობის სხვადასხვა ორგანოს როლი	სენსორული* / დამკვირვებელი / მგრძნობიარე / კონკრეტული	იხ. მომდევნო სამი ხაზი
	* ვიზუალი	ილუსტრაციები და ვიდეო
	* აუდიალი / ზეპირი	აუდიო წიგნები და ჩანაწერები
	* კინესთეტიკური	როლური თამაშები, სავარჯიშოები ხელების გამოყენებით
დამოკიდებულება შემეცნების მიმართ	ინტუიციური / დაფიქრებული/ თავიდან აცილებელი/	ესეები

	რეფლექსიური / აბსტრაქტული	
	არბიტრი/ სინთეზური/ თანმიმდევრობითი / დარგზე დამოკიდებულებითი / ინდუქციური	კითხვა- პასუხი
შემეცნების სტილი	გლობალური / ანალიტიკური / დარგისგან დამოუკიდებელი, / დედუქციური	დებულების სისწორე / სიცრუის დადგენა, ან იმის დადგენა, რომ მოცემულ აზრზე ინფორმაცია არ არის (მხარდამჭერი წინადადების პოვნის თანხლებით)
ჯგუფში ქცევა	კონკურენტუნარიანი	შეჯიბრებები
	თანამშრომლობითი	წყვილური და ჯგუფური სამუშაო, პროექტები
	მონაწილე / აქტიური	გონებრივი იერიში, დისკუსია, წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა, როლური თამაშები, აქტივობები ხელების გამოყენებით
	დამოკიდებული	ყველა სახის ცხრილები (შეწყვილება, ჩანაცვლებები, გამოტოვებული ადგილის შევსება და ა.შ)
	დამოუკიდებელი	კრეატიული და კრიტიკული წერა

ცხრილი 2

კითხვის სწავლების პროცესში მასწავლებლის ხედვისა და სტუდენტთა მოთხოვნილებების, სტრატეგიებისა და ქცევის შესაბამისობა

ხედვა	მასწავლებლის ქცევა	მასწავლებლის სტრატეგიები	სტუდენტთა ქცევა და სწავლის სტრატეგიები	კითხვის სწავლების შედეგები
მასწავლებელზე ორიენტირებული	არ ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულობას, მათ ინტერესს, არსებულ ცოდნას, და სტუდენტთა	თავს გვიჩვენებს როგორც ექსპერტი, ოფიციალური პირი და გვამღევს დემოსტრატორის/პერსონალურ მოდელს	ხშირად ზედაპირული სწავლა, თავიდან აცილების სტრატეგია	კითხვა არამოტივირებულია (მხოლოდ გარეგანი მოტივაცია), მოსაწყენია, წაკითხულის გააზრება მხოლოდ ზედაპირულ დონეზე

	კულტურას, ყურადღებას აქცევს მხოლოდ შედეგებს (ნიშნებს), ქმნის დამაბულ ატმოსფეროს			
სტუდენტზე ორიენტირებული	ყურადღებას აქცევს სტუდენტთა განსხვავებულობას, მხედველობაში იღებს მათ ინტერესებს და არსებულ ცოდნას, მათ კულტურას; ეპყრობა კითხვას როგორც პროცესს, ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ, მეგობრულ ატმოსფეროს	იყენებს ფასილიტატორის და მოვალეობათა დელეგატორის სტრატეგიებს	ხშირად სიღრმისეული სწავლა; მონაწილეობის სტრატეგია	კითხვა არის მოტივირებული, საინტერესო, წაკითხულის გააზრება სიღრმისეულად

თავი 2. უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის კითხვის სწავლება - დისკუსია

მეორე თავში განხილულია კითხვის ფსიქოლოგიური და ლინგვისტური მახასიათებლები, მოტივაცია კითხვის დროს, წასაკითხი ტექსტის ჟანრები, კითხვის უნარ-ჩვევების განმავითარებელი სავარჯიშოები, მათი შეფასების ფორმატები და უნივერსიტეტის (ბაკალავრ) სტუდენტთა ასაკობრივი თავისებურებები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თეორიული კვლევაა ჩატარებული სტუდენტზე ორიენტირებული კითხვის სწავლებაზე, არსებობს ამის დამამტიკცებელი პრაქტიკული მასალები (სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა), რომელიც საგანმანათლებლო პროცესს კვლავ მასწავლებელზე/სახელმძღვანელოზე (შინაარსზე დამოკიდებულ)

ორიენტირებულს ხდის. ვფიქრობ, ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ის თეორიული კვლევები მიმართულია კითხვის სწავლების მხოლოდ კონკრეტულ საკითხებზე და მთელი ჩარჩო კი ისევ მასწავლებელზე ორიენტირებული რჩება. მე ვცადა შემეჯამებინა სტუდენტზე ორიენტირებული სხვადასხვა ხედვა ერთ ჩარჩოში, რომელიც მოცემულია მესამე და მეოთხე ცხრილებში.

ცხრილი 3. კითხვის სწავლების სტრატეგიები

საფეხური	აქტივობები	რეკომენდირებული ფორმატი	არის სტუდენტზე ორიენტირებული?	არის მოტივაციის მიმცემი?
კითხვის-წინა	თემისა და ჟანრის არჩევა	მთელი კლასი	✓	✓
	ტექსტის შერჩევა სათაურის, ქვესათაურის, ილუსტრაციის და მოკლე ანოტაციის მიხედვით	მთელი კლასი	✓	✓
	სათაურის და ქვესათაურის განმარტება	წყვილები, მცირე ჯგუფები	✓	?
	შინაარსის პროგნოზირება სათაურზე, ქვესათაურზე ილუსტრაციებზე და მოკლე ანოტაციაზე დაყრდნობით	წყვილები, მხირე ჯგუფები	✓	?
	იმ სიტყვებზე გონებრივი იერიში, რომლებიც შესაძლოა საჭირო იქნეს ტექსტის წაკითხვისას, სათაურის, ქვესათაურის, ილუსტრაციის და მოკლე ანოტაციის საფუძველზე	მთელი კლასი	✓	✓
	თემის ირგვლივ არსებული ცოდნის განხილვა/გათვალისწინება	მთელი კლასი	შესაძლოა როგორც სტუდენტზე ორიენტირებული, ისე მასწავლებელზე იყოს (თუკი სტუდენტებს არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია) ორიენტირებული	✓
	მიზნების დასახვა (რა სახის კითხვას გეგმავთ, ზედაპირული თუ დეტალური გაგებით)	მთელი კლასი	შესაძლოა იყოს როგორც სტუდენტზე ორიენტირებული,	?

			ისე მასწავლებლებზე ორიენტირებული (მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს)	
	ვიდეოს ჩვენება (უხმოდ, შინაარსის პროგნოზის გასაკეთებლად)	მთელი კლასი	მასწავლებლებზე ორიენტირებული	✓
კითხვის დროს	ლექსიკონის გამოყენება	ინდივიდუალურად	✓	✓
	უცნობი სიტყვების მნიშვნელობის მიხედვით	ინდივიდუალურად წყვილებში ან მცირე ჯგუფებში	✓	✓
	საკვანძო სიტყვების მონიშვნა და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ინფორმაციისთვის ხაზის გასმა	ინდივიდუალურად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში	✓	?
	კითხვების ჩამოწერა რომელსაც თანაკლასელებს შეეკითხებიან	ინდივიდუალურად	✓	?
	ტექსტის ილუსტრაციებთან შედარება/შეწყვილება	წყვილებში, მცირე ჯგუფებში	✓	?
	ილუსტრაციების შექმნა	ინდივიდუალურად	✓	?
	შემცნებითი რუკების (ტექსტის სტრუქტურის, დამოკიდებულებების, გრაფიკების) შექმნა	ინდივიდუალურად წყვილებში ან მცირე ჯგუფებში	✓	?
	ცხრილების შევსება/ შედგენა, გრაფიკების აგება	ინდივიდუალურად წყვილებში ან მცირე ჯგუფებში	✓	?
კითხვის- შემდგომ	სიტყვათა მარაგზე და ტერმინოლოგიაზე მუშაობა (შეწყვილება, გამოტოვებული ადგილების შევსება, მრავალიდან ერთის არჩევა)	ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი (ან დამოუკიდებლად, მოცემული პასუხებით)	სტუდენტზე ორიენტირებული თუ ასეთ სავარჯიშოებს გავაკეთებთ მოცემული პასუხებით და არა მასწავლებლის კონტროლის ქვეშ	?
	წაკითხულის გააზრებისთვის საჭირო დავალებების სედგენა/შესრულება (სწორი/არასწორი/არ არის	ინდივიდუალურად, შესაძლოა შემოწმდეს მთელი კლასი ან ინდივიდი პასუხების მეშვეობით	შედგენა სტუდენტზე ორიენტირებულია	შედგენა მოტივაციის მიმცემია

ინფორმაცია; მრავალიდან ერთის არჩევა)			
ტექსტის სტრუქტურის ანალიზი	ინდივიდუალურად, წყვილებში და მცირე ჯგუფებში	✓	?
ურთიერთსწავლება (ერთმანეთს ეხმარებიან გაგებაში)	წყვილებში ან მცირე ჯგუფებში	✓	✓
დასკვნების გაკეთება, დასკვნებისთვის არგუმენტების გამოყენება	ინდივიდუალურად	✓	✓
შეჯამების გაკეთება	ინდივიდუალურად	✓	?
მაგალითების მოყვანა (ტექსტიდან, პირადი გამოცდილებიდან)	მთელი კლასი, ინდივიდუალურად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში	✓	✓
შეფასება (მაგ., გამოსადეგობისა და სანდობის)	ინდივიდუალურად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში	✓	✓
პრობლემის, პერსპექტივების ანალიზი და ა.შ.	მცირე ჯგუფებში ან მთელს კლასთან	✓	✓
ვიდეოს ყურება, რათა შემოწმდეს ან გაიზარდოს ტექსტის გაგება, მოიძებნოს განსხვავება (თუ არსებობს)	მთელ კლასთან	შესაძლოა იყოს როგორც სტუდენტზე, ისე მასწავლებელზე ორიენტირებული	✓

ცხრილი 4. კითხვის აქტივობების და სტრატეგიების შესაბამისობა

აქტივობა	სტრატეგია
თემისა და შინაარსის პროგნოზირება ტექსტის სათაურზე, ქვესათაურზე და ილუსტრაციაზე დაყრდნობით	გაგების ხელშეწყობის, მოტივირების (გამოწვეული ცნობისმოყვარეობით)
სიტყვების დაჯგუფება (კითხვის განმავლობაში და კითხვის-შემდგომ)	გაგების ხელშეწყობის
აუცილებელი სიტყვათა მარაგის და გრამატიკული სტრუქტურის სწავლება კითხვის დაწყებამდე და კითხვის პროცესში	გაგების ხელშეწყობის
სიტყვათა მარაგის რუკების შედგენა კითხვის დაწყებამდე, კითხვის პროცესში და კითხვის-შემდგომ ეტაპებზე	გაგების ხელშეწყობის
სტუდენტთა ცოდნის გამოკვლევა, თუ რა იციან არსებულ საკითხზე და იმ სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაზიარება, ვისაც არ აქვს ეს ცოდნა	გაგების ხელშეწყობის
დათვალიერებითი კითხვა, რათა მიხვდნენ ტექსტის შინაარსს	მოტივირების, გაგების ხელშეწყობის

კითხვის დაწყებამდე, კითხვის პროცესში და კითხვის-შემდგომ კითხვების დასმა	მოტივირება, გაგების ხელშეწყობის
მასწავლებლის და ერთმანეთის შეკითხვებზე პასუხების გაცემა	გაგების ხელშეწყობის
ტექსტის გადაკითხვა, რათა მოძიებულ იქნას კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვისაა საჭირო, დავამტკიცოთ ან უარყოთ რაიმე იდეა	გაგების ხელშეწყობის, ინფორმაციის დამახსოვრების
ხმამალა კითხვა (ინტონაციურ სინტაგმებით დაყოფილი)	გაგების ხელშეწყობის
პროგნოზირება	გაგების ხელშეწყობის, მოტივირების
მნიშვნელოვანი ინფორმაციის, საკვანძო სიტყვებისა და გაუგებარი წინადადებებისთვის ხაზის გასმა	გაგების ხელშეწყობის, დამახსოვრების
განსაკუთრებით რთული და მნიშვნელოვანი მონაკვეთების გადაკითხვა	გაგების ხელშეწყობის, დამახსოვრების
ლექსიკონის გამოყენება	გაგების ხელშეწყობის
მიხედრა	გაგების ხელშეწყობის. მოტივირების
გრამატიკული ანალიზი	გაგების ხელშეწყობის
ურთიერთსწავლება	გაგების ხელშეწყობის, მოტივირების, ინფორმაციის ამოღების, დამახსოვრების
ხმამალა ფიქრი	გაგების ხელშეწყობის
ტექსტის სტრუქტურის, ავტორის განზრახვისა და მთავარი იდეის განსაზღვრა და ა.შ.	გაგების ხელშეწყობის
წაკითხული ტექსტის გეგმის დაწერა (შესაძლოა იყოს კითხვის დროს ან კითხვის-შემდგომი სავარჯიშო)	გაგების ხელშეწყობის, დამახსოვრების
ტექსტის ილუსტრირება (შესაძლოა იყოს კითხვის დროს ან კითხვის- შემდგომი სავარჯიშო)	გაგება, დამახსოვრება
აზრის გამოთქმა და მიზეზების დასახელება	შეფასების
ცხრილების შევსება/ შედგენა, გრაფიკების აგება	გაგების ხელშეწყობის, დამახსოვრების, გამოყენების
სწორი/არასწორი/ინფორმაციის არ არსებობა	გაგების ხელშეწყობის
მოზაიკა (არეული ნაწილების დალაგება)	გაგების ხელშეწყობის
აბზაცების / ტექსტის დასათაურება	გაგების ხელშეწყობის
საინფორმაციო ღრმულების შევსება (ყოველ სტუდენტს ტექსტის	ინფორმაციის პოვნის, გაგების

თავისი ვარიანტი აქვს)	ხელშეწყობის
შეჯამების, ანოტაციის დაწერა ან მოყოლა	გაგების ხელშეწყობის, დამახსოვრების
კრიტიკული ესეს დაწერა	მაღალი დონის შემეცნება, კრეატიული უნარ-ჩვევები

თავი 3. ექსპერიმენტის აღწერა

კვლევა განხორციელდა **რაოდენობრივი კვლევის** ფორმატში. კვლევის მიზანი იყო გამოგვეკვლია სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით რამდენად კარგად კითხულობენ სტუდენტები. იმისათვის, რომ ცვლადების გადაფარვა არ მომხდარიყო, ექსპერიმენტი ორ საფეხურად განხორციელდა. პირველი საფეხურის მიზანი იყო გამოგვეკვლია, რამდენად კარგად კითხულობენ სტუდენტები შინაარსზე დამყარებული მიდგომისას და არჩეული ტექსტების კითხვის შემთხვევაში, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისას (მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურა, ზოგადი ენა და ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის, ტექსტები, რომლებიც სექსაბამებიან სტუდენტების სტუდენტების ვიწრო სპეციალობას და მოცემული დარგიდან ფართო არჩევანი). მეორე საფეხურის მიზანი კი იყო განიხილულიყო სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა კითხვის სავარჯიშოებისა და შეფასების ფორმატების შერჩევისას.

კითხვის უნარ-ჩვევების **შეფასებას**, **ტესტირებას** კითხვის დაწყებამდე, კითხვის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ უნდა გაეზომა ექსპერიმენტის შედეგები და იგი გამოყენებული იქნა ექსპერიმენტის ორივე საფეხურზე. მეორეს მხრივ, სტუდენტთა კმაყოფილების გრძნობის გაზომვა მოხდა **კითხვარის** გამოყენებით კითხვის დაწყებამდე და კითხვის შემდეგ.

კვლევა ჩატარდა იშვიკის უნივერსიტეტში ქ. არბილში ერაყში, ბაკალავრიატის სტუდენტების ორ ჯგუფთან, რომელთა სპეციალობაც ინფორმაციული ტექნოლოგიები იყო. ერთი ჯგუფი იყო საკონტროლო, სადაც კითხვა ისწავლებოდა მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების ფორმატში, ხოლო მეორე - ექსპერიმენტულ - ჯგუფში კითხვა ისწავლებოდა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ფორმატში. სემესტრი


გრძელდებოდა 19 კვირის განმავლობაში, 15 კვირა მიეძღვნა ექსპერიმენტის პირველ საფეხურს, ხოლო 4 კვირა - მეორე საფეხურს.

პირველი საფეხური ეძღვნებოდა ტექსტის არჩევის შესაძლებლობას სტუდენტების მიერ, სტუდენტების არჩევანი იყო **დამოუკიდებელი ცვლადი**, ხოლო სტუდენტთა მოტივაცია და კითხვის უნარ-ჩვევების დონე წარმოადგენდა ორ **დამოკიდებულ ცვლადს**. შესაბამისად, შინაარსზე დამყარებული კითხვა სტუდენტებისთვის შეიცავდა მხოლოდ სახელმძღვანელოს ავტორის მიერ სერჩეული ისეთ ტექსტებს / თემატიკას, რომელიც მათ მომავალი პროფესიისთვის გამოადგებოდათ.


გრაფიკულად წარმოდგენილი ოთხი გრაფიკი ექსპერიმენტის ორი საფეხურის შედეგებს გვიჩვენებს.

გრაფიკი1. საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების შედეგების შედარება


საფეხური 1




გრაფიკი 2. საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების კმაყოფილების გრძნობის შედეგების შედარება- საფეხური1



გრაფიკი 3. საკონტროლო და აექსპერიმენტული ჯგუფების შედეგების შედარება-
საფეხური 2



გრაფიკი 4. საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების კმაყოფილების
გრძნობის შედეგების შედარება- საფეხური 2



კვლევის შეზღუდვები

კვლევა ჩატარდა 46 სტუდენტთან ერთი სემესტრის განმავლობაში ერთ ქვეყანაში და ერთ უნივერსიტეტში. რა თქმა უნდა, ეს რაოდენობა არ არის საკმარისი ზოგადი დასკვნების გასაკეთებლად. მეორეს მხრივ, შედეგები თანხვედრაში მოდის თეორიული რესურსების ანალიზთან და ნათლად წარმოადგენს იმ ტენდენციას, რომელიც ჩვენს ჰიპოთეზას უჭერს მხარს.

მესამე თავის დასკვნები

ჩვენი კვლევა გვიჩვენებს, რომ ექსპერიმენტისთვის შერჩეულ მონაწილეებში ექსპერიმენტულ ჯგუფში მნიშვნელოვნად უფრო იზრდება როგორც სტუდენტთა კითხვის უნარ-ჩვევების დონე, ისე მათი კმაყოფილების დონეც, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ეს ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით სტუდენტების მიერ შერჩეული წასაკითხი მასალის თემატიკა და თვითონ ტექსტები, კითხვის უნარ-ჩვევების განმავითარებელი აქტივობები და შეფასების ფორმატი ზრდის როგორც კითხვის უნარ-ჩვევებს, ისე სტუდენტთა კმაყოფილების გრძნობას, რადგან ეს მიდგომა მათ უყალიბებთ იმის შეგრძნებას, რომ ისინი თვითონ აკონტროლებენ სწავლის პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევას ლიმიტირებული მასშტაბები აქვს და დამატებით კვლევაა საჭირო, ჩვენ ვასკვნით, რომ სტუდენტებისთვის სწავლის პროცესში არჩევის შესაძლებლობის მინიჭებით ვზრდით როგორც მათ კმაყოფილების გრძნობას, ისე მოტივაციას და შესაბამისად უმჯობესდება სწავლის შედეგებიც.

დასკვნები და რეკომენდაციები

ლიტერატურის ანალიზსა და ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები შემდეგია:

1. წაკითხულის გაგება მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევაა: ის არის სწავლის საფუძველი როგორც უნივერსიტეტში, ისე მისი დამთავრების შემდეგ. ის ხელს უწყობს

თანამედროვე ტექნოლოგიებ გამოყენებას და ვითარდება მათი გამოყენების პროცესში, ის აკავშირებს ერთმანეთთან პროფესიულ და ეთნიკურ საზოგადოებას და სტიმულს აძლევს ინტელექტუალურ ზრდას.

2. ლინგვისტურად კითხვა უფრო რთულია, ვიდრე მოსმენა და საუბარი, წერილობითი ტექსტი შესაძლოა იყოს უფრო რთული თავისი მრავალფეროვანი სიტყვათა მარაგით, გრძელი წინადადებებით და რთული სტრუქტურით, მაგრამ ფსიქოლოგიურად მკითხველი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს, რადგან ტექსტი არსად გაექცევა, საკმარისი დრო აქვს, რომ გამოიყენოს ლექსიკონი, მიხვდეს სიტყვის მნიშვნელობას, სიტყვის წარმოების მოდელზე, მეტყველების ნაწილზე, რომელსაც ის წარმოადგენს, და წინადადებაში მის ადგილზე დაყრდნობით. ნებისმიერ შემთხვევაში, იმისათვის რომ სტუდენტებს შეუმუშავდეთ წაკითხულის გაგების უნარ-ჩვევები და სტრატეგიები, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მათ ნათელი განმარტებებით, მიეხმაროს ჩაერთონ პრაქტიკულ აქტივობებში და სამართლიანად შეაფასოს ისინი.

3. იმისათვის, რომ ინგლისური ენა (ან სხვა რომელიმე მეორე ან უცხო ენა) იქნეს გამოყენებული აკადემიური და/ან სპეციალური მიზნებისთვის, კითხვის უნარ-ჩვევების დონე მშობლიური ენის უნარ-ჩვევებს უნდა მაქსიმალურად დაუახლოვდეს. სწორედ ამიტომ, რომ სწავლებისა და სწავლის სტილი და სტრატეგიები ძალიან მნიშვნელოვანია კითხვის ასეთი უნარ-ჩვევების ჩამოსყალიბებლად. ეს სტუდენტს საშუალებას მისცემს, მიიღოს განათლება მეორე/უცხო ენაზე.

4. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ამ მიმართულებით უაღრესად მნიშვნელოვანია. სანამ სტუდენტი თავის თავზე არ აიღებს სწავლის პასუხისმგებლობას, არ გამოიმუშავებს საკუთარ სტრატეგიას, რათა დაძლიოს კითხვის გაგებისას წარმოშობილი სირთულეები, არ გააკეთებს ეფექტურ და სამართლიან თვითშეფასებას, მანამდე ის ვერ გამოიყენებს კითხვას, როგორც პროფესიული განვითარების ერთ-ერთ საშუალებას ვერც უნივერსიტეტში სწავლისას, ვერც მის შემდგომ უწყვეტი განათლების და პროფესიული ზრდის პროცესში.

5. ისეთი სწავლების სტილი/ სტრატეგიები როგორცაა „ექსპერტი“ , „ოფიციალური წარმომადგენელი“ და „პირადი მოდელი“ მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლებისთვისაა დამახასიათებელი. სწორედ ამიტომ ის რაღაც დოზით გამოყენებული უნდა იყოს სწავლებაში, მაგრამ დიდ ადგილს არ უნდა იკავებდეს. მეორეს მხრივ, სწავლების ისეთი სტილი/სტრატეგიები, როგორცაა ფასილიტატორი და დელეგატორი, რელევანტურია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისას და ეს, შესაბამისად, სწავლის პროცესში მეტად უნდა იყოს გამოკვეთილი.

6. არსებობს სწავლის სტილების უამრავი კლასიფიკაცია და ეს ცოტა არ იყოს აბნევს მასწავლებლებს, რომელთაც სურთ, რომ გაითვალისწინონ სტუდენტთა სწავლის სტილი სწავლების პროცესში. მე ვეცადე, შემექმნა სწავლების სტილის ერთი მოდელი, დამეჯგუფებინა და სწავლის არსებული სტილების ამსახველი ტერმინები დამეჯგუფებინა მეტ-ნაკლებად მსგავსების მიხედვით. ესენია: ექსტრავერტი და ინტროვერტი, სენსორული/დამკვირვებელი/მგრძნობიარე/ კონკრეტული, ვიზუალი და აუდიალი/ვერბალური სტილი, ინტუიციური/მოაზროვნე/თავიდან ამცილებელი/ რეფლექსიური/აბსტრაქტული სტუდენტები და არბიტრი/სინთეტური/ თანმიმდევრობითი/დარგზე დამოკიდებული/ინდუქციური და აგრეთვე გლობალური/ანალიტიკური/დარგისაგან დამოუკიდებელი/დედუქციური შემსწავლელები , კონკურენტუნარიანი და თანამშრომლობითი სტუდენტები, მონაწილე/ აქტიური და დამოკიდებული, ისევე როგორც დამოუკიდებელი. მე ხაზს ვუსვამ იმ ფაქტს, რომ სწავლის ის სტილები, რომელბიც თითქოსდა დიქოტომიას (ორი კომპონენტის შეპირისპირებას) წარმოადგენს, რეალურად უფრო ფართო სპექტრს წარმოადგენენ, ისინი გარკვეული დოზით მოიცავენ როგორც ერთ (მაგ. ექსტრავერსიას), ისე მის საპირისპირო (ინტროვერსიას) თვისებებს.

7. ასეთი დიდი ოდენობით არსებული სწავლის ყველა სტილის მხედველობაში მიღება, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს ეს სურს, წარმოუდგენელია. შეუძლებელია ასწავლო სტუდენტებს ისე, რომ ყველა მათგანისათვის კომფორტული სტილი გამოიყენო. გარდა ამისა, კვლევა გვიჩვენებს, რომ ენის შემსწავლელები დიდ სარგებელს

ვერ მიიღებენ, თუ სულ მათთვის კომფორტული სწავლების სტილი იქნება გამოყენებული. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ როგორც მასწავლებლებმა ბოროტად არ ვისარგებლოთ და არ გამოვიყენოთ მხოლოდ ის სტილი, რომელშიც ჩვენ ვგრძნობთ თავს კომფორტულად. სწავლებისა და სწავლის სტილის სინთეზი რელევანტური უნდა იყოს იმის, რომ სტუდენტები კმაყოფილები იყვნენ და საშუალება მიეცეთ სხვადასხვა სწავლის სტული/სტარატეგია განვივიტარონ. ამით მათი კითხვის უნარ-ჩვევები არა მხოლოდ გამყარდება, არამედ მოქნილიც გახდება.

8. ზემოთ განხილული სწავლის სხვადასხვა სტილი საჭიროებს ადექვატურ სხვადასხვა პრაქტიკულ სავარჯიშოებს: წყვილებში და ჯგუფებში მოშაობა, დისკუსიები, ჩუმი კითხვა, წერილობითი დავალებები, ილუსტრაციებისა და ვიდეოს, აუდიო წიგნებისა და აუდიო ჩანაწერების გამოყენება, როლური თამაშები, ხელით საკეთებელი აქტივობები, ესეები, კითხვა-პასუხი, სწორი/არასწორი/არ არის ინფორმაცია (შესაბამისი წინადადებებით გამყარებული), შეჯიბრი, პროექტები, გონებრივი იერიში, ყველა სახის მექანიკური სავარჯიშო (შეწყვილება, ჩანაცვლება, გამოტოვებული ადგილების შევსება და ა.შ), კრეატიული და კრიტიკული წერა.

9. სწავლების სტილი და აქტივობები არა მხოლოდ ეფექტური უნდა იყოს, არამედ მოტივაციის აღმძრავიც. კითხვის მოტივაციის ძირითადი საფუძველია: კონცეპტუალური ორიენტაცია, რეალური ინსტრუქციები, დამოუკიდებლობის ხელისშეწყობა, თანამშრომლური სწავლება, შექება და ჯილდო, საინტერესო ტექსტები, სტრატეგიების სწავლება, შეფასება, მასწავლებლისა და სტუდენტის ჩართულობა, და ლოგიკური თანმიმდევრობა.

10. თუ გვინდა, რომ სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა გამოვიყენოთ, საჭიროა სტუდენტების მოთხოვნილებათა ანალიზის გაკეთება. სამწუხაროდ, სახელმძღვანელოების ავტორები ამას ვერ აკეთებენ. სახელმძღვანელოები დაწერილია შემსწავლელების წარმოსახვითი ჯგუფისთვის, რომელთაც მსგავსი პროფილი უნდა ჰქონდეთ. მასწავლებელი კი არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ამის გაკეთება

შეუძლია და მან უნდა გააკეთოს ყოველი ახალი ჯგუფის რეალური მოთხოვნილებების ანალიზი.

11. რადგან ინგლისური აკადემიური და სპეციალური მიზნებისთვის სტუდენტთა მომავალი პროფესიისთვის აუცილებელია, მისი სწავლებისთვის სტუდენტთა და პოტენციურ დამსაქმებელთა საჭიროების კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია. მოთხოვნილებათა ანალიზის გაკეთების მიზანია სტუდენტთა რეალური ცოდნის გამორკვევა, საჭიროა გამოირკვეს მათ კიდევ რისი ცოდნა სჭირდებათ და რისი გაკეთება ურჩნევიათ. მოთხოვნილებათა ანალიზი უნდა გაკეთდეს საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე. უმეტეს შემთხვევაში ეს ძალიან რთული გასაკეთებელია, მაგრამ ეს არის ის საკითხი, რომელიც პირველივე გაკვეთილზე უნდა მოგვარდეს.

12. იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ სტუდენტთა მიერ დარგის ცოდნა როგორია, შესაძლოა გამოვიყენოთ კითხვარი ან თუნდაც მათი ძირითადი საგნების ლექტორებს დავუსვათ შეკითხვა იმის გამოსარკვევად, თუ შეიცავს სახელმძღვანელო პროფესიულ შინაარსს სტუდენტთა ცოდნის ამაღლებისთვის. რაც შეეხება ლინგვისტურ ცოდნას, მასწავლებელმა უნდა მოახდინოს გონებრივი იერიში მანამ, სანამ დაიწყება ყოველი კითხვის გაკვეთილი, რათა გამოარკვიოს, თუ როგორია სტუდენტის ცოდნა, სიტყვათა მარაგი, არსებულ საკითხთან მიმართებაში.

13. წასაკითხი მასალის შერჩევასა და მასწავლებელმა შესაძლებელია აიღოს ხელმისაწვდომი წიგნი და პედანტურად გაჰყვეს მას, მაგრამ ეს იქნება სახელმძღვანელოზე ორიენტირებული სწავლება. ან შესაძლოა მან იმუშაოს სტუდენტზე ორიენტირებულად, ან შეიტანოს დამატებითი ტექსტები, დაამატოს და გამოტოვოს ზოგიერთი დავალება ან შეცვალოს ტექსტებით, რომელიც სტუდენტების მოთხოვნილებათა ანალიზზეა დამყარებული, ან მთლიანად თვითონ, სტუდენტების მოთხოვნილებების შესწავლის საფუძველზე დაყრდნობით, შეარჩიოს ტექსტები და მოამზადოს შესაფერისი აქტივობები. ბოლო არჩევანი ოპტიმალურია, მაგრამ მეორე არჩევანი მოითხოვს უფრო ნაკლებ დროს, უფრო პრაქტიკულია და შესაბამისად უფრო ხშირად გამოიყენება.

14. მთავარი პათოსი ჩვენი კვლევისთვის მდგომარეობს იმაში, რომ კითხვის სწავლება რაც შეიძლება მეტად იყოს სტუდენტზე ორიენტირებული (მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მასწავლებლის დახმარებაც). კითხვის სწავლებისას სტუდენტზე ორიენტირება გარანტირებული იქნება, თუკი გაიზრდება სტუდენტების მონაწილეობა კითხვის აქტივობების, სტრატეგიებისა და შეფასების ფორმატის არჩევაში.

15. გამოყენებულ უნდა იქნას ქვემოთ და ზემოთ მიმართული კითხვის სტრატეგიები და შეთავაზებულ უნდა იყოს შესაბამისი აქტივობები.

16. ტერმინები „უნარ-ჩვევები“ და „სტრატეგიები“ ხშირად ერთმანეთის სინონიმებად იხმარება. კოგნიტიური ფსიქოლოგები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინები მართლა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, უნარ-ჩვევები მაინც ითვლება ავტომატურ მოქმედებად, ხოლო სტრატეგიები არსებითად მოქნილი და ადაპტირებადია. სწორედ ამიტომ აქცენტი დღესდღეობით კეთდება კითხვის სტრატეგიების განვითარებაზე. თუმცა, კვალიფიციური კითხვა ავტომატური ხდება, ამიტომ უნარ-ჩვევებსაც ფორმირება სჭირდება.

17. მე ჩავრთე მოტივაციის ასამაღლებელი სტრატეგიები კითხვის სწავლების სტრატეგიებში. წაკითხულის გააზრების სტრატეგიათა შორისაა: ზედაპირული გაგებით კითხვა, ღრმა გაგებით კითხვა, მიხვედრა, მსგავსების ამოცნობა და მონათესავე სიტყვების ცნობა, კითხვა მნიშვნელობის საპოვნელად, პროგნოზირება, ზოგადი ცოდნის აქტივაცია, დასკვნების გაკეთება, მითითების გათვალისწინება, ძირითადი აზრის დამხმარე აზრისგან გამოცალკევება. კითხვის სტრატეგიების განვითარება უნდა მოხდეს როგორც კითხვის დაწყებამდე, ისე კითხვის პროცესში და კითხვის-შემდგომ საფეხურზე. სტუდენტთა მოტივაციის გასაზრდელად მათი ასაკი, სქესი და კულტურა უნდა იყოს მხედველობაში მიღებული.

18. ექსპერიმენტის შედეგად მიღებული შედეგები ადასტუდებს ამ იდეებს, ისე რომ თავისუფლად შემიძლია, რეკომენდაცია გავუწიო მათ გამოყენებას ინგლისურის (სხვა ენის/უცხო ენის) მასწავლებლების მიერ უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ეს

დასკვნები, იმედია, საინტერესო იქნება ინგლისურის (როგორც უცხო/მეორე) ენის კვლევით დაინტერესებული მკვლევარებისთვისაც.

დისერტაციის ძირითადი შინაარსი ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. Mehmet Numan Kanar. (2011). Improving reading comprehension through evolved syllabus design. The First International Research Conference at the Faculty of Education on Education, English Language Teaching, English Language and Literatures in English. Proceedings. Tbilisi, p. 101-105
2. Mehmet Numan Kanar. (2013). The efficiency of reading in content-based topics vs. reading in variety of topics. *IBSU Journal of Education*. V.2, issue 2
3. Mehmet Numan Kanar. (2013). The way to make students to “own” their coursebook by retouching the flexible syllabus *IBSU Journal of Education*. V.2, issue 2
4. M. Numan Kanar. (2013). When something goes "bottom-up" it doesn't mean all we are teaching wrong. The Second International Conference on Language and Literature Studies Proceedings. Tiran, p. 285-293. V.1